# ხელშეკრულება № 77

„ სასკოლო ეკლუბების ხელშეწყობისა და მოსწავლეთა გარემოსდაცვითი განათლების მოქმედებათა პირველ ეროვნულ პროგრამა“ ით გათვალისიწნებული მომსახურების გაწევრის შესახებ

ქ. თბილისი „-15- “ „დეკემბერი“ 2013წ.

**ერთის მხრივ,** ა(ა)იპ „საქართველოს გარემოს დამცველის ოფისი“- მისი ხელმძღვანელის საქართველოს გარემოს დამცველის ეკოლოგიის ეროვნული მრჩეველის ვ. ოქროპირიძის სახით, შემდგომში -„ოფისი“,

**და მეორეს მხრივ, -სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყის საჯარო სკოლა-მისი დირექტორის ელენა ტატიაშვილის**
**სახით** შემდგომში - „წევრი”,ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - ოფისსა და წევრს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „საწევრო შენატანი“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს წევრმა ოფისის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „ოფისი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებას/მომსახურებას.
1.5. „წევრო“ - პირი, რომელიც ღებულობს ოფისის მიერ მოწოდებულ მომსახურებას
1.6. „ეროვნული პროგრამა“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ოფისის მიერ დამტკიცებული „ სასკოლო ეკლუბების ხელშეწყობისა და მოსწავლეთა გარემოსდაცვითი განათლების მოქმედებათა პირველ ეროვნულ პროგრამა“-ით გათვალისწინებული მომსახურებისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების მიწოდება ეტაპობრივად 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების შესაბამისად ყოველწლიური საწევრო შენატანი შეადგენს ორმოცი 00 თეთრი ( 40,00) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება გადახდილ უნდა იქნას 2013 წელს- არაუგვიანეს 31 დეკემბრისა ხოლო 2014 წლის არაუგვიანეს 1 თებერვლისა.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. *<u>ოფისის ვალდებულია:</u>*
ა) უზრუნველყოს წევრისათვის ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებში, პროგრამებში და სხვა გარემოსდაცვით აქტივობებში წევროს მონაწილეობა.
ბ) უზურნველყოს ამ ხელშეკრულებით და მხარეთა შეთანხმებებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

4.2. *<u>ოფისი უფლებამოსილია:</u>*

ა) განსაზღვროს ეროვნული პროგრამების მიმდინარეობის განრიგი დამტკიცებული ეროვნული პროგრამის ფარგლებში.
ბ) წევრის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შეიტანოს ცვლილებები და შესწორებები დამტკიცებულ ეროვნულ პროგრამაში.

4.3. *წევრი ვალდებულია:*

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);
ბ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებითა და მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება.
გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.4. წევრო უფლებამოსილია

ა) მიიღოს ოფისის მიერ დამტკიცებულ ყველა გარემოსდაცვით აქტივობებში მონაწილეობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ბ) მონაწილოება მიიღოს ოფისის მიერ დამტკიცებულ კონკურსებში, შეხვედრებში და სხვა გარემოსდაცვით აქტივობებში.

## 5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

5.2. წევრი ვალდებულია გადაიხადოს საწევრო სენატანი საგადახდო მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუსაო დღის ვადაში მაგრამ არაუმეტეს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვადისა.

## 6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. *წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:*

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით.

8.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

8.3. ოფისის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

## 9. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 11. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

## 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები:

| *ოფისის:* | *მიმწოდებელი:* |
|---|---|
| ა(ა)იპ „საქართველოს გარემოს დამცველის ოფისი<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 404445873<br>მისამართი ვ. აბაშიძის 7<br>ტელ 577566636<br>e-mail: garemosdacva@mail.ru<br>www.fondibsu.ge/3 | სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყის საჯარო სკოლა<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 227752161<br>ტელ: 577944709<br>მისამართი: სოფელი ჩუმლაყი<br>e-mail:elena.tatiashvili@gmail.com |